№ 189 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 1 მანეთი. სამშაბათი 26 აგვისტო 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა"
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით. კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

22 აგვისტოს ს. კარდანახში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ეკატერინე ზაალის ასული ვაჩნაძისა,

რასაც აუწყებენ გულდამწვარნი შვილები: ნინო ათანასის ასული ვაჩნაძისა, შვილებით, ანნა ათანასის ასული მოსულოვისა, სიძეები: ალექსანდრე ზაალის ძე ვაჩნაძე, ზაქარია ლუკას ძე მოსულოვი; ძმისწულები: ელენე ალექსანდრეს ასული ვაჩნაძისა, ევგენია ალექსანდრეს ასული ავალოვისა, კონსტანტინე და ნიკოლოზ ალექსანდრეს ძენი და დავით დიმიტრის ძე ჯანდიერები. 1202 1—1

ცენტრალური სასურსათო საბჭო

ამით აცხადებს, რომ სამ სექტემბერს, 1919 წ. დილის ათ საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ახალ სასაკლაოს შენობაში (ნავთლუღში) შემდეგი საბჭოს ნივთებისა: რამოდენიმე ათი ათასეული ძველი ბოჭკებისა, სხვა და სხვა, ბოჭკების საკეთებელი იარაღებისა და საშენებელ მასალისა. დაწვრილებითი ცნობები მიიღება ცენტრალურ სასურსათო საბჭოში (მადათოვის ქუჩა, № 3). 1503 3—1

საჭიროა ოჩემჩირის ახალი ტიპის გიმნაზიისათვის გამოცდილი გამგე.

არსებულ ჯამაგირზე ზევით ქალაქის გამგეობის მიერ მიეცემა 500 მანეთი თვეში. საჭიროა იმავე სასწავლებლისთვის აგრეთვე მასწავლებლები. თხოვნებით მიმართეთ განათლების სამინისტროს. ოჩემჩირის ქალაქის გამგეობა. 1178 5—1

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა

აცხადებს, რომ საზოგადოების აქციონერთა **საზოგადო კრების გაგრძელება** დანიშნულია სამშაბათს 26 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, სავაჭრო სამრეწველო პალატის ბინაზე (ფრეილინის ქუჩა № 11). 1512 1—1

ოფიციალური განყოფილება.

კანონი

საექციზო და საპატენტო გადასახადების გადიდებისა და აქციზის აკრეფისა.

1.

საექციზო წესდების სათანადო მუხლებისა და შემდგომ მიღებულ დამატებათა შესაცვლელად, შესავსებლად და გასაუქმებლად დაწესდეს შემდეგი:

1. აქციზი ყოველგვარ საფუარზე გაუქმებულ იქნეს.

2. ჭაჭისა, ყურძნისა და სხვა ხილეულობისაგან გამოხდილ სპირტზე დაწესდეს აქციზი გრადუსზე 1 მან., პურის სპირტზე 2 მან. და კონიაკის სპირტზე 3 მან. აქციზი უნდა გადახდილ იქნეს სპირტზე სრულად; უწინდელის კანონით დაწესებული შეღავათები ხილეულობის, ყურძნისა, კონიაკის და პურის სპირტის გამოხდისა, შენახვისა და დაწმენდისა გაუქმებულ იქნეს; ნორმის ქარხნებში ნორმაზე ზედმეტად გამოხდილ სპირტზე აქციზი არ გადახდეს. აქციზისაგან თავისუფალია სოფლად შინაურულად გამოხდილი არაყი, თუ იგი გამოხდილია არა გასასყიდად არამედ შინ სახმარებლად, რომლის წესის გამორკვევა მიენდოს ფინანსთა მინისტრს ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებთან შეთანხმებით.

3. ნავთის ნაწარმოებთა აქციზი განაწილდეს ამ გვარად:

ა) ნავთის ასანთები ზეთისათვის (კეროსინი, მეტეორი, პირონავთი, ასტროლინი და სხვა) დაწესდეს 6 მან. ფუთზე.

ბ) სოლარისა და წასასმელ ზეთისათვის (სამანქანო, საცილინდრო, ვისკოზინი და სხვა) 12 მან. ფუთზე.

გ) გაზოლინისა, მსუბუქი და მძიმე (დაწმენდილი და დაუწმენდელი) ბენზინისათვის 20 მან. ფუთზე.

4. უმაღლესი ა. ხარისხის თამბაქოსაგან ნაწარმოებზედ, რომლის გასაყიდი ფასი განსაზღვრული არ არის, აქციზი განაწილდეს შემდეგ გვარად:

ა) უმაღლეს ა. ხარისხის მოსაწევ თამბაქოსთვის 64 მან. გირვანქაზედ;

ბ) უმაღლეს ა. ხარისხის პაპიროსისათვის 100 მან. 1000 ცალზე.

5. ღვინის აქციზი განაწილდეს ამგვარად:

ა) მსუბუქ ღვინისთვის—16 მან. ვედრაზე;

ბ) სალიქორო და ტკბილი ღვინოებისათვის (პორტვეინის, ხერესის, მადერის და სხვა სახისა) 32 მან. ვედრაზე;

გ) შუშხუნა ღვინისთვის (შამპანიურის, დონისა და სხვა) 80 მან. ვედრაზე.

შენიშვნა 1: ღვინის აქციზის აკრეფა ხდება ამ კანონთან დართულ წესებით.

შენიშვნა 2: ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს იმ ქალაქებში, სადაც იგი შესაძლოდ დაინახავს, დააწესოს ღვინის აქციზის გადახდა ღვინის შემოსავალ-გასავალის კვალობაზედ და ნება დართოს ღვინის გატანა უბანდეროლო ბოთლებით.

6. არაყის ნაწარმოებთათვის (ხილზე დაყენებული არაყი, ლიქორი, ხელოვნური კონიაკი, რომი, ბალზამი და სხვა) დაწესდეს დამატებითი აქციზი 160 მან. ვედრაზე.

7. აქციზი ლუდისათვის დაწესდეს ლუდის დასაყენებელ ალაოს ყოველ ფუთზე 80 მან. ლუდის სიმაგრე არ უნდა აღემატებოდეს 6°.

8. რუსეთის მთავრობის მიერ 1914—18 წ. განმავლობაში შემოღებული ყოველგვარი შეზღუდვა ლუდის, სპირტის და სხვა მაგარი სასმელების დამზადებისა და გაყიდვისა გაუქმებულ იქნეს.

9. პაპიროსის დაჭრილ ქაღალდზე დაწესდეს აქციზი 15 კაპ. წიგნაკზე ან შეკვრაზე არა უმეტეს 50 ფურცლისა. ყოველ შემდეგ 50 ან ნაკლებ ფურცლისათვის უნდა დაემატოს 15 კაპ.

10. პაპიროსის გილზის 100 ცალზე დაწესდეს აქციზი 60 კაპ. ყოველ შემდეგ 50 ან ნაკლებ ცალზე უნდა დაემატოს 30 კაპ.

შენიშვნა: პაპიროსის გილზსა და ქაღალდზე აქციზის აკრეფა ხდება ამ კანონთან დართული წესებით.

11. წუმწუმაზე დაწესდეს შემდეგი აქციზი: უვნებელ ან ე. წ. შვედურ წუმწუმაზე 15 კაპ. თითო კოლოფზე, რომელშიაც 75 ცალ წუმწუმაზედ მეტი არ უნდა იყოს, ყოველ შემდეგ 75 ან ნაკლებ ცალზე უნდა დაემატოს 15—15 კაპ. ყველა დანარჩენ წუმწუმის აქციზი გადიდდეს ორ წილად.

12. საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ (ჩინეთისა, ცეილონისა, ინდოეთისა და სხვა) ჩაიზე დაწესდეს აქციზი გირვანქაზე 3 მან. 20 კაპ. შინაურ წარმოების ჩაიზე აქციზი მოისპოს.

13. საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ ნაწარმოებზე (ჩაის გარდა) დაწესდეს ისეთივე აქციზი, როგორიც ადგილობრივ დამზადებულ ნაწარმოებს აძევს.

14. საზღვარ-გარეთ გატანის დროს აქციზ დადებული ნაწარმოები აქციზისაგან არ თავისუფლდება, თუ კი იმ სახელმწიფოსთან, სადაც ეს ნაწარმოები გააქვთ, საგანგებო შეთანხმება არ არსებობს.

15. ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს:

ა) დააწესოს ამ კანონში ნახსენებ ღონისძიებათა განსახორციელებლად ვადა, წესი და პირობები;

ბ) აღნიშნოს აქციზ—გადასახდელ საგნებში, რომელიც ამ ჟამად დამზადებულია, რომელს უნდა დაედოს გადიდებული აქციზი;

გ) განსაზღვროს წესრიგი ფულის გადახდისა, ბანდეროლის დაკვრისა, აქციზის მოხელეთა მეთვალყურეობისა და დააწესოს საბოლოო ვადა, ამ მუხლის ბ. პუნქტის ძალით ნაჩვენები აქციზის გადასახდელად.

II.

პატენტის ფასი გადიდდეს ამ კანონთან დართული ნუსხის თანახმად.

III.

გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან, ამასთანავე დართულ შტატის თანახმად, ინსპექტორების, მათის თანაშემწეების, ტეხნიკოსისა და შიკრიკის შესანახად ამა წლის ივნისის 1-დან 1920 წ. ივნისის 1 დე ოთხას ექვსი ათას ორასი (406,200) მან.

ნავთლუღში ნავთის და მისის ნაწარმოების სასინჯი კამერის მოსაწყობად და შესანახად—ხუთმეტი ათასი (15,000) მან.

1919 წ. ივლისის 31 ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

წესი

ღვინოზე აქციზის აკრეფისა.

1. დაწესდეს აქციზი ღვინისა, რომელიც აღმოჩნდება ან შემდეგ შეზოვა როგორც ქალაქების, ისე ზოგიერთ დაბების სავაჭროებში. ამავე ადგილებში აქციზს გადაიხდის ის პირიც, რომელიც შემოიტანს საშინაო სახმარებელ ორ ვედრაზე მეტ ღვინოს.

შენიშვნა: ფინანსთა მინისტრი აღნიშნავს იმ დაბებს, საცა შემოღებული უნდა იქნეს აქციზი.

2. გარდა აქციზის გადახდისა, ყველა ღვინის სავაჭროების პატრონები ვალდებულნი არიან აიღონ პატენტი.

შენიშვნა: დაბების და ქალაქების ამა თუ იმ ხარისხში ჩათვლა პატენტის ასაღებად დამოკიდებულია ფინანსთა მინისტრზე.

შენიშვნა: 2: პატენტის აღება შეიძლება ნახევარი წლითაც, თუ პატენტი აღებული იქნება ივლისის 1-დან.

3. გარდა პირველ მუხლში აღნიშნულ ადგილებისა, სხვაგან ღვინის ხმარება უაქციზოა და მისი გადატან გადმოტანა თავისუფლად შეიძლება.

4. საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ ღვინოს, საბაჟო გადასახადს გარდა აძევს დაწესებული აქციზი, რომელიც შეტანილ უნდა იქმნეს ხაზინაში საბაჟოდან ღვინის გატანამდე.

5. ღვინის აქციზი გადახდილ უნდა იქნეს გაყიდვამდე; იმ შემთხვევაში კი, როცა ღვინო ერთი საწყობიდან ან სარდაფიდან მეორეში გადააქვთ, აქციზის გადახდა დაევალება ღვინის მყიდველებს.

6. სავაჭრო, რომელსაც ნება აქვს შეიძინოს ჩამოუსხმელი, დაუბეჭდავი ღვინო, შეუძლია იგი შეიძინოს სოფლად და ჩამოიტანოს აქციზ გადაუხდელად თავის საწყობსა და სარდაფში; სხვა ღვინო კი სოფლიდან ჩამოტანილი ქალაქში, აქციზს გადაიხდის ადგილობრივ ნებართვის მიღებისათანავე.

7. ზემოაღნიშნულ (მუხ. 6) ღვინის წამოღება სოფლიდან ნება დართულ უნდა იყოს აქციზის მოხელისაგან, და სადაც ასეთი მოხელე არ მოიპოება, ადგილობრივის კომისარისაგან. ამათაგან უნდა იყოს მიღებული ღვინის გადატან გადმოტანის მოწმობა.

შენიშვნა: ფინანსთა მინისტრი დაადგენს დაწვრილებით წესს ღვინის გადატან გადმოტანისას.

8. ქალაქებსა და დაბებში, საცა აქციზია შემოღებული, ღვინის სავაჭრო სამნაირია:

1) ღვინის საწყობი და სარდაფი;

2) მაგარი სასმელებისა და ღვინის დუქნები.

3) სასადილო, ბუფეტი და სხვა ამგვარი სავაჭრო, სადაც ადგილობრივ ნება დართულია ღვინის სმა.

9. ღვინის საწყობი და სარდაფი აწარმოებს ღვინის მეურნეობას; მარტო მათა აქვთ უფლება იქონიონ კასრაში დაყენებული ჩამოუსხმელი და უაქციზო ღვინო მარტო მათა აქვთ უფლება როგორც ერთი-ერთმანეთისაგან, ისე სოფელში შეიძინონ ჩამოუსხმელი ღვინო.

10. სავაჭროები ისე უნდა მოეწყოს, რომ ერთ განყოფილებაში ინახებოდეს ჩამოუსხმელი ღვინო, მეორე განყოფილებაში კი მარტო ჩამოსხმული და დაბეჭდილი ბოთლებში. ღვინო ჩამოისხმის და დაიბეჭდება მარტო პირველ განყოფილებაში.

11. საწყობსა და სარდაფში ღვინის სმა აკრძალულია. აქედან ჩამოსხმული ბოთლებში და დაბეჭდილი ღვინო გაიყიდება თავისუფლად. სხვა ჭურჭლით შეიძლება გატანა არა ნაკლებ ერთი ვედრო ღვინისა გადასატან მოწმობით.

12. საწყობიდან შეიძლება გაიყიდოს არა ნაკლებ ერთი ვედრო ღვინისა, სარდაფში კი ღვინის ვაჭრობა განსაზღვრული არ არის.

13. მაგარი სასმელისა და ღვინის დუქნებში ბოთლებში ჩამოუსხმელი და დაუბეჭდავი ღვინის შენახვა აკრძალულია. აქ გაიყიდება ღვინო მარტო გარეთ გასატანი იმავე ჭურჭლით, რომლითაც ის იყო მიღებული საწყობიდან და სარდაფიდან. ადგილობრივ ღვინის სმა აკრძალულია. დუქანმა უნდა დაიწყოს ვაჭრობა პატენტის აღების შემდეგ, რისთვისაც არავითარი ნებართვა საჭირო არ არის.

14. სასადილოსა, ბუფეტებსა და სხ. ამგვარ სავაჭროში, სადაც ნება დართულია ადგილობრივ ღვინის სმა, ღვინო უნდა ინახებოდეს დაბეჭდილი იმავე ბოთლებში და იმავე ბეჭდით, რომლითაც იყო გადმოტანილი საწყობ-სარდაფიდან, მუშტრის დასაკმაყოფილებლად კი შეიძლება იქონიონ გახსნილი თითო ბოთლი ღვინო ყოველ ფირმისა და ხარისხისა. გარეთ გატანა ღვინისა ამ სავაჭროებიდან აკრძალულია. პატენტის აღებისათვის საჭიროა ამ

დარგის სავაჭრომ წარადგინოს მხოლოდ ქალაქის გამგეობის ნებართვა.

15. სოფლად ღვინის ვაჭრობა სწარმოებს ღვინის დუქნებში, საიდანაც ღვინო შეიძლება გადატანილ იქნეს გარეთაც და ადგილობრივაც დაილიოს. ასეთ სავაჭროს ღვინის შეძენა შეუძლიან სოფლად ნებადაურთველად. დუქნის გაღება შეიძლება მარტო ადგილობრივ საზოგადოების ნებართვით, და პატენტის აღების შემდეგ.

16. ღვინის საწყობისა და სარდაფის პატრონები (მუხ. 9). რომელთაც აქვთ ღვინის მარტო ჩამოსხმის უფლება, ვალდებულნი არიან წლის განმავლობაში შეიტანონ ხაზინაში აქციზი თითომ არა ნაკლები:

1) ქ. ტფილისში—30.000 მან. (ოცდაათი ათასი მან.)

2) ქ. ქუთაისში—20.000 მან. (ოცი ათასი მან.)

3) ფოთსა და სოხუმში—15.000 მან. (ხუთმეტი ათასი მან.)

4) გორსა, თელავსა, სიღნაღსა, ახალციხესა, ახალქალაქსა და სამტრედიაში—8000 მან. და

5) დანარჩენ ქალაქებსა და დაბებში სამი ათას ექვსასი მან. იმის და მიხედვით, თუ რომელ ჯგუფს მიაკუთვნებს ფინანსთა მინისტრი იმის სავაჭროს.

17. ზემოაღნიშნული თანხა სავაჭროს პატრონმა უნდა შეიტანოს ხაზინაში თვედა-თვე თანასწორ ნაწილად და თუ დანაკლისი ერთი სამი თვისა მეორე სამთვეში არ იქნება გასწორებული, ასეთი სავაჭრო დაიკეტება და პატენტი ჩამოერთმევა.

18. ტფილისს, ქუთაისსა, ფოთსა და სოხუმის გარდა, სხვა ქალაქებსა და დაბებში, საცა იქნება შემოღებული ღვინის აქციზი, ყოველნაირი ღვინის სავაჭრო, რომელიც ერთიანად შეიტანს აქციზს, მე 16-ტე მუხლში აღნიშნულს, განთავისუფლდება ღვინის აღნუსხვის ყოველგვარი ანგარიშისა და დამატებითი აქციზისაგან, მას თავისუფლად შეუძლია შეიძინოს ღვინო სოფლად და გაჰყიდოს აღებული პატენტის კვალობაზე.

19. ღვინის საწყობმა და სარდაფმა (მუხ. 9) უნდა აწარმოოს დავთრები:

1) ღვინის შემოსავალ—გასავლისა და

2) ღვინის ანუსხვისა. დავთრები უნდა დამზადდეს სავაჭროს პატრონის ხარჯით და წლის დაწყების წინ ნოემბერში უნდა წარედგინოს აქციზის სამმართველოს, რომელმაც პირველი დავთარი უნდა გაუგზავნოს საკონტროლო პალატას შესამოწმებლად, ხოლო მეორე თვითონ შეამოწმოს.

20. ამ წესდების დამტკიცების შემდეგ ქალაქის თვითმმართველობას და აგრეთვე სოფლის საზოგადოებას ეკრძალება ღვინის რაიმე ბაჟის შემოღება.

21. ღვინის აქციზის იმ შემოსავლიდან, რომელიც ადგილობრივ გაყიდულ ღვინისაგან იქნება მიღებული, 20% გადარიცხულ იქნეს ხაზინის მიერ სათანადო ქალაქის და სამაზრო ერობის თვითმმართველობის სასარგებლოდ გადასახადის მიღებისას.

შენიშვნა: აღნიშნულ აქციზის 20%-დან, თუ ქ. ტფილისშია შემოსული, 15% მიეცემა ქ. ტფილისს, ხოლო 5% ტფილისის სამაზრო ერობას, თუ ქ. ქუთაისშია შემოსული, ქ. ქუთაისს—10%, ხოლო ქუთაისის სამაზრო ერობას დანარჩენი 10%; სხვა ქალაქებში შემოსული აქციზის 5% მიეცემა იმ ქალაქის თვითმმართველობას, სადაც აქციზი—შეიკრიფა, ხოლო 15% სათანადო ერობებს; დაბებსა და სოფლებში შემოსული აქციზის 20% ერობას გადაეცემა სრულიად.

22. ვინც ჩამოიტანს სოფლიდან ღვინოს, თვინიერ მოწმობისა იმ ქალაქსა და დაბაში, სადაც შემოღებულია აქციზი, ჩამოერთმევა ღვინო და ამას გარდა ჯარიმად გადახდება ასი (100) მანეთი.

23. სავაჭროში უპატენტოდ ღვინის შენახვისა და გაყიდვისათვის დამნაშავეს, პატენტის აღებისა ან მისი ღირებულების გადახდის გარდა, სასჯელად დაედება: 1-ლ ძირითადი პატენტის ღირებულების გადახდა, 2-დ ძირითადი პატენტის ღირებულების ერთი ორად გადახდა; და 3-დ მე 2 პუნქტ. აღნიშნულ გადასახადს გარდა—ციხეში დაპატიმრება ორიდან ოთხ თვემდე.

შენიშვნა: პატენტის აღებამდე სავაჭრო დაკეტილი უნდა იყოს.

24. თუ სასადილოსა, ღვინის დუქანსა, ბუფეტსა და სხვა ამ გვარ სავაჭროში (მუხ. 14) აღმოჩნდა ჩამოსხმული ღვინო, ან ბოთლებში ჩასხმული უბეჭდოდ, დამნაშავეს ეს ღვინო ჩამოერთმევა და ჯარიმად გადახდება ათი წილი აქციზისა იმის დაგვარად, თუ რამდენი ღვინოა ჩამოსხმული. ეს ჯარიმა ას მანეთზე ნაკლები არ უნდა იყოს.

25. ღვინის საწყობსა, სარდაფსა და დუქანში სადაც ღვინის ადგილობრივ დალევა აკრძალულია, ამ წესის დარღვევისათვის პატრონს გადახდება ჯარიმად ხუთასიდან-სამი ათას მანეთამდე.

26. თუ ღვინის საწყობსა და სარდაფში სრულიად არ აწარმოეს დავთრები ანდა ისე არ აწარმოეს, როგორც ფინანსთა მინისტრის მიერ არის დადგენილი, დამნაშავეს პირველ შემთხვევაში დაეკეტება სავაჭრო, სანამ დავთრებს არ მოაწესრიგებს, ხოლო მე 2 შემთხვევაში ამას გარდა გადახდება ჯარიმად ხუთასიდან-სამიათას მანეთამდე.

28. ფინანსთა მინისტრის განკარგულების დარღვევისთვის დამნაშავეს ჯარიმად გადახდება ხუთასიდან-სამი ათას მანეთამდე.

28. ამ წესების დამტკიცებისა და გამოქვეყნების შემდეგ ყველა იმდრომდე გამოცემული წესები ღვინის შესახებ გაუქმებულად ჩაითვლება.

29. ფინანსთა მინისტრს დაევალება გამოსცეს შესაფერი განკარგულება ამ წესების ცხოვრებაში გასატარებლად და დანიშნოს დრო მისი შემოღებისა.

30. ის დანაშმული, რომელიც ამ კანონის დარღვევის გამო დატუსაღებით და სასჯელია, გადაიცემა განსახილველად სასამართლოს, დანარჩენი კი აქციზის სამმართველოს აქციზის წესდების მე-1275-1281 მუხ. თანახმად.

31. ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს განმარტოს ეს წესები და აქციზის სამმართველოს მისცეს საჭირო ინსტრუქცია კანონის განსახორციელებლად.

1919 წ. ივლისის 31-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

წესი

პაპიროსის გილზისა და ქაღალდის აქციზის აკრეფისა.

1. აქციზი დაედოს პაპიროსის გილზსა და ქაღალდს, რომელიც მზადდება საქართველოში, ან საზღვარ-გარეთიდან შემოდის.

შენიშვნა: პაპიროსის ქაღალდათ უნდა ჩაითვალოს ყოველი ის ქაღალდი, რომელიც იხმარება მოსაწევ თამბაქოს გასახვევად და დაჭრილია დასტებად.

ამასთანავე ხარისხის ქაღალდზე, უფრო დიდი ზომისა, დახაზული ან დანიშნული იმ ზომად, როგორც პაპიროსის დაჭრილი ქაღალდია, აქციზ-გადასახდელია.

აქციზი არ დაედება პაპიროსის ქაღალდს, რომელიც იხმარება ქარხნებში გილზის ან პაპიროსის გასაკეთებლად.

2. გილზი და პაპიროსის ქაღალდი მზადდება მარტო საგანგებო ქარხნებში და სავაჭროებში.

3. აქციზი დაედოს:

1) ყოველ ას მასრა გილზსა—სამი აბაზი და

2) ყოველ ორმოცდა ათ ფურცელ პაპიროსის ქაღალდს—სამი შაური.

გილზის მასრის ის ნაწილი, საცა ჩადის თამბაქო, სიგრძით არ უნდა აღემატებოდეს 5 სანტიმეტრს, ხოლო ქაღალდის ფურცლის სიბრტყე—40 კვ. სანტიმენტრს, აქციზი დაედება ბანდეროლ დაკვრით.

4. ქარხნები და სავაჭროები, აქციზის გადახდის გარდა, ვალდებულია აიღონ პატენტი, ღირებული ერთი წლით ცხრა თუმნად, რომელიც აძლევს მათ ნებას დაამზადონ წლის განმავლობაში ხუთი მილიონი გილზი ან პაპიროსის ქაღალდის ფურცლები, ან ორივე ერთად. თუ ქარხანა მეტ გილზს ან პაპიროსის ქაღალდს დაამზადებს, ყოველ ზედმეტ ერთ მილიონ გილზზე, ან პაპიროსის ქაღალდზე გადაიხდის ერთ თუმანს ისე კი, რომ მილიონზედ ნაკლები ზედმეტი მილიონად ჩაითვლება. პატენტი მიეცემა მათ მთელი წლისა, როდესაც უნდა იყოს იგი აღებული. წლის ანგარიში იწყება პირველ იანვრიდან.

5. ქარხანა და სავაჭრო, საცა მზადდება გილზი და პაპიროსის ქაღალდი, განცალკევებული უნდა იყოს ყოველნაირ სხვა სავაჭროსაგან.

მათი ბინა კი განაწილდება ორად. ერთში უნდა დამზადდეს გილზი და ქაღალდი, მეორეში მარტო ბანდეროლ დაკრული ფაბრიკატი უნდა შენახულ იქნეს.

6. გილზის და პაპიროსის ქაღალდის დასამზადებლად მექარხნე ხმარობს იმ ხარისხის ქაღალდს, როგორსაც თითონ აირჩევს.

7. გილზი მზადდება მარტო ერთი მუშტუკით (პაპიროსის მასრა) ან უმუშტუკოთ.

8 გილზის და პაპიროსის ქაღალდზე რაიმე წარწერა, ან ნიშნების დასმა აკრძალულია.

9 გილზი და პაპიროსის ქაღალდი გამოიცემა ქარხანა-სავაჭროდან, საცა მზადდება, უთუოდ ბანდეროლ დაკრული, სხვა სავაჭროებში უბანდეროლო გილზის და პაპიროსის ქაღალდის შენახვა და მათით ვაჭრობა იკრძალება.

10. გილზის ყუთსა და პაპიროსის ქაღალდის წიგნაკზე ან დასტაზე სახელმწიფო ენით უნდა იყოს დაწერილი: სად არის დამზადებული და ვის ეკუთვნის ქარხანა ან სავაჭრო.

11. გილზის ყუთს ან პაპიროსის ქაღალდის წიგნაკს, რომლებშიც მოთავსდება მასრა გილზისა სიგრძით არა უმეტეს 5 სანტიმეტრი, (№ 3) და ქაღალდი სიბრტყით არა უმეტეს 40 კვ. სანტ., უნდა დაეკრას თითო ბანდეროლი სათანადო ღირებულობისა. თუ მასრა ან ქაღალდის ფურცელი მეტი ზომისაა, მაშინ თითო ყუთს ან წიგნაკს უნდა დაეკრას ორი, სამი ან მეტი ბანდეროლი იმის მიხედვით, თუ რამდენჯერ აღემატება მათი ზომა დადგენილ ნორმას.

12. გილზი და პაპიროსის ქაღალდი შეიძლება გატანილ იქნეს საზღვარ-გარეთ მარტო აქციზ გადახდილი.

13. ბანდეროლი გილზის და პაპიროსის ქაღალდის დასაკრავად მზადდება: I, ასი, ორას ორმოცდა ათი და ხუთასი გილზისთვის და 2, პაპიროსის ქაღალდის წიგნაკების ანუ დასტებისათვის—ორმოცდა ათი, ასი და ორას ორმოცდა ათი ფურცლისათვის.

14. ბანდეროლი იყიდება ხაზინაში ნაღდ ფულად და მიეცემა მარტო იმ ქარხნისა და სავაჭროების პატრონებს, რომელთაც აქვთ აღებული სათანადო პატენტი და ნებართვა აქციზის სამმართველოსი. აქციზის სამმართველოს ნებართვით ბანდეროლი მიეცემა სხვა უწყებასაც დ̃ კერძო პირსაც. საბაჟოები, საცა ბანდეროლი დაეკვრის საზღვარ გარეთიდან შემოტანილ გილზს და პაპიროსის ქაღალდს, მიიღებენ ხაზინიდან საჭირო ბანდეროლს ნისიად.

15. გილზის და პაპიროსის ქაღალდის ქარხნები და სავაჭროები ვალდებულია შეიტანონ ხაზინაში წლის განმავლობაში აქციზი არა ნაკლებ ათი ათასი მანეთისა.

16. ვინც ზემოაღნიშნულ მოთხოვნილებას (მუხ. 15) არ შეასრულებს, იმის ქარხანა ან სავაჭრო დაიკეტება; ერთი წლის განმავლობაში იმავე შენობაში არც სხვას აქვს უფლება გახსნას ამისთანავე ქარხანა ან სავაჭრო.

17. დამატებითი გადასახადი (მუხ. 7) შეტანილ უნდა იქნეს ხაზინაში ზედ-მეტი წარმოების დაწყებისთანავე. უამისოდ ქარხანა უნდა დაიკეტოს.

18. ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს დაწვრილებით განმარტოს ეს წესდება, მხოლოდ ისე კი, რომ ეს განმარტება არ ეწინააღმდეგებოდეს თვით კანონს, დააწესოს პაპიროსის და გილზის ქარხნებში და სავაჭროებში გილზის აღნუსხვა საკანტროლო სათვალავით, წესი ანგარიშის წარმოებისა ქარხნებში და სავაჭროებში საცა მზადდება პაპიროსის ქაღალდი და გილზი და შეიმუშაოს სახელმწიფო კანტროლიორთან შეთანხმებით დავთრების წარმოების ნიმუში.

19. ვისაც არ აქვს პაპიროსის გილზის ქახანა ან სავაჭრო და შეიძენს მანქანას იმის დასამზადებლად, გადახდება ჯარიმად ათს მანეთიდან ხუთი ათას მანეთამდე.

20 ვინც ფარულად გამართავს პაპიროსის გილზის და ქაღალდის დასამზადებელ ქარხანას, ან სავაჭროს,—გადახდება აქციზი დამზადებული გილზისა და ქაღალდისა ერთი ათად, პატენტის ფასი ერთი სამად, ჯარიმად ათას მანეთიდან ხუთი ათას მანეთამდე და დამზადებული გილზი და ქაღალდიც ჩამოერთმევა.

21. უკეთუ პაპიროსის გილზის და ქაღალდის ქარხნის ან სავაჭროს პატრონი მუშაობას შეუდგება პატენტის აღებამდე, სასჯელად პატენტის ღირებულება ერთი სამად გადახდება და გარდა ამისა, ვალდებული იქნება პატენტიც აიღოს ხაზინიდან, მანამდე კი ქარხანა ან სავაჭრო უნდა იყოს დაკეტილი.

22. თუ არ იქნება დაცული იმ წესდებით დავალებული მოთხოვნილება პაპიროსის გილზის და ქაღალდის ქარხნების და სავაჭროების შიგნით მოწყობილობისა, თვით გილზის და ქაღალდის დამზადებისა, ჩაწყობისა ყუთებში და წიგნაკებათ დამზადებისა და მათზე ბანდეროლის დაკვრისა, ან კანონით შემოღებული დავთრები წესიერად არ იქნება წარმოებული, დამნაშავეს ჯარიმად გადახდება ათას მანეთიდან სამი ათას მანეთამდე.

შენიშვნა: ასეთი სასჯელი მოელის იმასაც, ვინც აქციზის მოხელის მოთხოვნისათანავე არ წარუდგენს მას ზემოაღნიშნულ დავთრებს საბუთებითურ.

23. პაპიროსის გილზის და ქაღალდის ქარხანას ან სავაჭროს პატრონი, რომელიც გამოსცემს ფაბრიკა ბანდეროლ დაუკვრელს აქციზს-გადაუხდელს ან ისე დაკრულს, რომ ყუთში ან წიგნაკში ბანდეროლ მოუხდელად შეიძლება ამოღება გილზისა ან პაპიროსის ქაღალდისა, გადახდება აქციზი ერთი ათად. უკანონოთ გამოცემული გილზისა და ქაღალდისათვის ჯარიმად შეეწერება ათას მანეთიდან ხუთი ათას მანეთამდე. და უკანონოდ გამოცემული გილზი და ქაღალდი ჩამოერთმევა ან და დამნაშავეს გამოერთმევა გამოცემული გილზის და ქაღალდის ღირებულება.

24. ყოველი სავაჭრო დუქნის პატრონი, ან დამტარებელი მეწვრიმალე, რომელიც შეიძენს, შეინახავს დუქანში ან გაყიდის ბანდეროლ-დაუკვრელ პაპიროსის გილზს დ̃ ქაღალდს ან იმგვარად დაკრულს, რომ ბანდეროლ მოუხდელად შეიძლება გილზის და ქაღალდის ამოღება, დაისჯება ამ წესდების 23 მუხ. თანახმად.

ასეთივე სასჯელი დაედებათ იმ შემთხვევაშიაც თუ გილზი და ქაღალდის ნახმარ ბანდეროლ-დაკრული გამოდგა.

25. ვინც პაპიროსის გილზს და ქაღალდის ყუთს ან წიგნაკს ბანდეროლს აძრობს გასასყიდათ, ათასი მანეთი გადახდება.

26. ვინც შეიძენს თავისთვის უბანდეროლო პაპიროსის გილზს ან ქაღალდს, იმას შეძენილი გილზი და ქაღალდი ჩამოერთმევა და ჯარიმად გადახდება (100) ასი მანეთი.

27. ვინც ხაზინიდან ნაყიდ ბანდეროლს სხვას მიჰყიდის ან სხვისგან იყიდის, მყიდველსაც და გამყიდველსაც გადახდება აქციზი ერთი სამად და ჯარიმად შეეწერება ათას მანეთიდან ხუთი ათას მანეთამდე. ამის გარდა უკანონოდ ნაყიდი ბანდეროლი ჩამოერთმევა.

28. ვინც წინააღმდეგობას გასწევს და აქციზის მოხელეს, ან ადგილობრივ ადმინისტრაციის წარმომადგენელს ხელს შეუშლის რომ მათ თვალყური ადევნონ პაპიროსის, გილზის და ქაღალდის წარმოებას, ის დაისჯება ციხეში ჩასმით ორი თვიდან რვა თვემდე.

29. ვინც დაამზადებს ყალბ ბანდეროლს, პატენტს, ან სხვა საბუთს, იხმარს ყალბ ბეჭედს, დაისჯება თანახმათ სისხლის სამართლის დებულების 554 მუხ. და გარდა ამისა ყალბი დამზადებული და სხვა იარაღი და მასალა, რომელიც იხმარებოდა იმის დასამზადებლად, ჩამოერთმევა.

30. ზემო-აღნიშნული წესის ძალით დამნაშავეთ სასჯელი უნდა გადახდეთ აქციზის წესდების 1244—1223, 1226—1227 მუხლ. თანახმად.

31. სასამართლოში აქციზის საქმეები აქციზის წესდების (1901 წ. გამოც.) მე-1271, 1272, 1275—1280, 1232, 1282 დ̃ 1283 მუხ. დ̃ ამავე წესდების)1906 წ. გამოც.) 1270 მუხ. თანახმად უნდა სწარმოებდეს.

1919 წ. ივლისის 31-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

ნუსხა

საპატენტო გადასახადებისა.

1. პატენტი თამბაქოსი.

1. ადგილობრივ და საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ ფოთოლ თამბაქოს საწყობისათვის ყოველგან . . . . 500 მან.
2. თამბაქოს გასასყიდი სავაჭროებისათვის:
   - ა) ტფილისში . . . . . . 50 მან.
   - ბ) ქუთაისსა, ფოთსა და სოხუმში . . . . 30 მან.
   - გ) დანარჩენ ადგილებში . . 25 მან.

2. სპირტის და კონიაკის ქარხნებში:

1. სპირტის დასაწმენდ ქარხნებში ყოველგან . . . . 400 მან.
2. პურის და სხვა ხორბლეულობის ქარხნებში . . . . 400 მან.
3. კონიაკის ქარხნებში ყოველგან . 200 მან.
4. ჰაჰის და სხვა ხილეულობის ქარხნებში საკანტროლო მანქანით ყოველკან . . . . 200 მან.

3. მაგარ-სასმელების საწყობებში:

1. ქ. ტფილისში . . . . 1000 მან.
2. ქუთაისსა, ფოთსა და სოხუმში . 600 მან.
3. დანარჩენ ადგილებში . . . . 400 მან.

4. ღვინისა და ლუდის საწყობებში:

1. ქ. ტფილისში . . . . 300 მან.
2. ქუთაისსა, ფოთსა და სოხუმში . 200 მან.
3. დანარჩენ ადგილებში . . . . 100 მან.

5. მაგარ-სასმელების სარდაფებში მარტო გატანით:

1. ქ. ტფილისში . . . . 800 მან.
2. ქუთაისსა, ფოთსა და სოხუმში . 400 მან.
3. დანარჩენ ადგილებში . . . . 250 მან.

6. ღვინის სარდაფში:

1. ქ. ტფილისში . . . . 400 მან.
2. ქუთაისსა, ფოთსა და სოხუმში . 300 მან.
3. დანარჩენ ქალაქებსა და დაბებში, სადაც აქციზია შემოღებული . 200 მან.
4. სოფლებში . . . . 100 მან.

7. ღვინის დუქნებში:

1. ქ. ტფილისში . . . . 100 მან.
2. დანარჩენ ადგილებში . . . . 50 მან.

8. სასადილოსა, ბუფეტსა, გარდა თეატრებისა და ცირკისა და სხვა და სხვა ამგვარ სავაჭროებში, სადაც ნება დართულია ღვინის და სხვა სასმელის სმა:

1. ქ. ტფილისში . . . . 1200 მან.
2. ქუთაისსა, ფოთსა და სოხუმში . 800 მან.
3. სხვა დ სხვა ქალაქებსა დ დაბებში 600 მან.
4. სოფლებში . . . . 300 მან.

9. ბუფეტებსა, თეატრსა და ცირკებში.

1. ქ. ტფილისში . . . . 200 მან.
2. სხვა ადგილებში . . . . . . 100 მან.

10. ლუდის დუქნებში გატანით და ადგილობრივ დალევით:

1. ქ. ტფილისში . . . . 200 მან.
2. სხვა ადგილებში . . . . . . 80 მან.

11. ბუფეტებში, რომელიც გაიხსნება მოკლე ვადით გამოფენის ან ბაზრობის დროს:

დღეში ყოველგან: . . . . 10 მან.

შენიშვნა 1: სააგარაკო ადგილებში, შეიძლება ყოველგვარი სასმლის ვაჭრობა პირველ მაისიდან-პირველ ოქტომბრამდე, ნახევარი წლის პატენტით. ფინანსთა მინისტრი აღნიშნავს იმ ადგილებს, რომლებიც ითვლებიან საგარაკოდ.

შენიშვნა 2: საქველმოქმედო ან სხვა საზოგადოება, რომელიც მართავს გასართობს საქველმოქმედო მიზნით, მაგარ სასმელების ვაჭრობისათვის პატენტს არ აიღებს.

1919 წ. ივლისი 31-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

კანონის მე III განყ. დამატებაა.

შტატი

საქციზო და საპატენტო გადასახადის ინსპექციისა.

თანამდებობანი.	თანამდ. პირთა რიცხვი.	ძირითადი ჯამაგირი.	ჯამაგირი თითოს.			ყველას.
			დამატება.	საგზაო.	სულ	
		მან.	მან.	მან.	მან.	
1. ქ. ტფილისი.						
ინსპექტორი.	2	9600	4800	800	15200	30400
უმცროსი თანაშემწე	12	6000	3000	600	9600	115200
2. ნავთლუღში.						
ინსპექტორი	1	9600	4800	800	15200	15200
უფროსი თანაშემწე	1	6600	3300	600	10500	10500
უმცროსი "	2	6000	3000	600	9600	19200
ნავთ. ნაწარმოებ. მონაგარიშე	4	5700	2850	—	8550	34200
რეგისტრატორები	2	4800	3000	—	7800	15600
საქონლის ხარისხის აღმნიშნავი კამერის მოსაწყობად და საკანცელარიო ხარჯისათვის.	—	—	—	—	—	15000
შიკრიკი	1	3600	3600	—	7200	7200
ნავთის ნაწარმოების შემმოწმებელი ტეხნიკი.	1	9600	4800	800	15200	15200
3. ქუთაისში.						
ინსპექტორი.	1	9600	4800	1500	15900	15900
უფროსი თანაშემწე	2	6600	3300	960	10860	21720
4. ფოთში.						
ინსპექტორის უმცრ. თანაშემწე	1	6000	3000	600	9600	9600
5. სოხუმში.						
ინსპექტორის უფროსი თანაშემწე	2	6600	3300	960	10860	21720
" უმცროსი "	1	6000	3000	960	9960	9960
6. ახალციხეში.						
ინსპექტორი	1	9600	4800	800	15200	15200
თანაშემწე	2	6000	3000	600	9600	19200
ქ. ახალქალაქში.						
ინსპექტორი.	1	9600	4800	800	15200	15200
	—	—	—	—	—	406200

1919 წ. ივლისის 31-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

19 აგვისტოს სხდომა.

სხდომას დაესწრენ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ე. პ. გეგეჭკორი, მინისტრი ბ. კანდელაკი, მინისტრთა ამხანაგები ბ. ბ. ცინცაძე, ჭიჭინაძე, გედევანიშვილი, ერაძე, გელეიშვილი, საბახტარაშვილი, ავალიანი, დეპარტამენტის დირექტორები ბ. ბ. ჭიჭინაძე. იფხაზი საქმეთა მმართველი ბ. ჯაფარიძე მდივნობს ბ. ლომთაძე.

მოხსენება მთავრ. თავმჯდ. მოადგილისა პროლეტარულ ფრონტის დღე.

თანახმათ პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ საბჭოს თხოვნისა, მიეცეს წინადადება სახელმწიფო წარმოების ადმინისტრაციას თუ ის ტეხნიკურათ მოსახერხებელია წარმოებისათვის და მუშებიც თანახმა იქნებიან, სწარმოებდეს მუშაობა კვირას 31 აგვისტოს და იმ დღის მუშათა მუდმივი ნორმალური დღიური ქირა შეტანილ იქნას პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს კასაში ფრონტის ფონდის გასაძლიერებლათ.

მოხსენება შინაგან საქმ. მინისტრის ამხ-სა.

ქუთაისის საშრატე სადგურის გადატანა.

საჩქაროთ გაიგზავნოს გორის მაზრის ს. ციხისჯვარის ფერმაზე კომისია და. ა. თოფურიძის თავმჯდომარეობით და ექ. კანდელაკის და ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილების გამგე ლაშხაურის მონაწილეობით ამ საკითხის ადგილობრივ გასაცნობათ და აგრეთვე იმის გამოსარკვევათ თუ რა შენობების და ინვენტარის გადაცემა წარმოადგენს აუცილებელს საჭიროებას საშრატე სადგურისათვის. ამ კომისიის სამგზავრო ხარჯები გაიღონ შინაგან საქმეთა და მიწათ-მოქმედები სსამინისტროებმა.

მოხსენება განათლების მინისტრის ამხ-სა.

სესხი სახელმწიფო თეატრს.

მიეცეს სახელმწიფო თეატრს თვიურათ ამა წლის 1 აგვისტოდან ათ მილიონიან ფონდიდან 16000 მანეთი სესხის სახით.

მოხსენება გზათა დეპარტამენტის დირექტორისა.

ხელშეკრულობის პროექტი სატრანსპორტო საზ სთან.

სატრანსპორტო საზოგადოებასთან დასადებ ხელშეკრულების პროექტში შეტანილ იქმნეს შემდეგი შესწორებანი: მე-8 მუხლში სიტყვა: „მოახდინოს“ შემდეგ დაემატოს: „ამავე სახელოსნოებში“ და სიტყვების: „რაც თვით საზოგადოებას დაუჯდება“ შემდეგ ფრჩხილებში დაემატოს: „საექსპლოატაციო ხარჯები, ამორტიზაციის და ობლიგაციის პროცენტი“. მე 12 მუხლში სიტყვა „სამართლის წესით“ მაგივრად დაიწეროს: „კანონიერი წესით“. ამ სახის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა დაევალოს გზათა უწყებას. სატრანსპორტო საზოგადოების მხრივ ხელშეკრულებას ხელი უნდა მოაწერონ საზოგადო კრებისაგან ამისთვის სათანადო რწმუნებით აღჭურვილმა პირებმა.

მოხსენება ფინანსთა მინისტრისა.

ქართულ ბონების პროექტი.

ფინანსთა მინისტრის მიერ წარმოდგენილი პროექტი 5, 10 და 50 მან. ქართული ბონისა მოწონებულ იქნას.

მოხსენება იუსტიციის მინისტრისა სიკვდილით დასჯის შესახებ

ნესტორ ბეჟანის ძე ჭყონიას ქუთაისის საგანგებო სასამართლოს ამა წლის ივლისის 2 განაჩენით გადაწყვეტილი სიკვდილით დასჯა შეეცვალოს უვადო კატორღით ყოველივე ღირსების ახდით.

თანამედროვე დემოკრატიის უფლება.

III. თანამედროვე დემოკრატიის სახელმწიფოებრივ პრაქტიკაში კონსტიტუციების გადასინჯვა.

1. ჩვენ მიერ გარჩეულ საკითხში უფრო მეტათ ახლოსაა მონარქიის ტიპთან ის დემოკრატიები, რომელნიც არავითარ შემთხვევაში არ უშვებენ ხალხის მონაწილეობას კონსტიტუციის გადასინჯვაში და პირდაპირ ამ გადასინჯვის უფლებას აძლევენ საკანონმდებლო პალატებს ახალ არჩევნების მოუხდენლათაც კი.

მათ ეკუთვნით: ბრაზილია, ვენეცუელა, მექსიკა, ეკვადორი და პანამა.

2. იდეალური დემოკრატიის ტიპის გზაზე წავიდენ ის რესპუბლიკები, რომელნიც, თუმცა გადასინჯვის საქმეს ანდობენ ჩვეულებრივ საკანონმდებლო უფლებას, მაგრამ თხოვილობენ მაინც ახალ არჩევნებს ესე იგი მას, რომ ორმა ერთიმეორეს მიმყოლმა საკანონმდებლო კრებამ ხმა მისცეს გადასინჯვას, ამასთან მეორეს ვოტუმი განსაზღვრულია იმ გარეშეცულობით, რომელიც მიეცა გადასინჯვას პირველი საკანონმდებლო კრების მიერ. აქ შეიძლება მიჰყვეთ ან იმ პრინციპს, რომ ჩვეულებრივი მიმდინარეობა და პირველი საკანონმდებლო კორპუსის ვადა არაფრით არ იქნეს შეზღუდული (ბოლივიაში), ანდა ის საკანონმდებლო კორპუსი, რომელმაც გადასინჯვა დაადგინა, დაუყონებლივ უნდა დაიშალოს (ჩილიში).

3. პირველ და მეორე პუნქტს შუა სდგანან პარლამენტარული რესპუბლიკების ის კონსტიტუციები, რომელნიც მისდევენ საფრანგეთის ნაციონალურ კრების მაგალითს. მათ ეკუთვნით გაიტი და სან დომანგო. ამ უკანასკნელში საჭიროა ცალკე კვალიფიციური ინიციატივა, კონგრესის კვალიფიციური უმრავლესობა გადასინჯვის აუცილებლობის გამოსაცხადებლათ.

4. მეოთხე ჯგუფი ყველაფერში მისდევს სეისის მიერ დამკვიდრებულ სახეს. თუ ჩვეულებრივმა საკანონმდებლო ხელისუფლებამ გამოსთქვა კონსტიტუციის გადასინჯვის მიზანშეწონილება, მაშინ აირჩევა განსაკუთრებული კრება, რომელსაც ენდობა ამ გადასინჯვის დამუშავება. ამგვარი ტიპისაა: არგენტინა, გონდურასი, კუბა, გვატემალა, პარაგვაი, სალვადორი და ნიკარაგუა.

5. არსებობს კიდევ სისტემა, რომელიც სდგას იმ კონსტიტუციების, რომელნიც გადასინჯვას ანდობენ ჩვეულებრივ საკანონმდებლო ხელისუფლებას და იმ კონსტიტუციების შუაში, რომელნიც ანდობენ გადასინჯვას განსაკუთრებულ ნაციონალურ კონვენტებს. ასეთ სისტემას მისდევენ ის დემოკრატიები, რომელნიც გარკვეულ შემთხვევებში ხმარობენ ხან ერთს და ხან მეორე სისტემას. ამათ ეკუთვნით ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის საკავშირო კონსტიტუცია მიუწერს ხან ერთ და ხან მეორე გზას, იმის მიხედვით: კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივა გამომდინარეობს კონგრესისგან ორივე პალატაში $^2/_3$ უმრავლესობის დროს, თუ ცალკე შტატების საკანონმდებლო პალატების $^2/_3$ უმრავლესობისაგან. პირველ შემთხვევაში კონსტიტუციის გადასინჯვას ახდენს კონგრესი,—მეორე შემთხვევაში—დამფუძნებელი კრება (კონვენტი). ამგვარი გზით გადასინჯვის დამტკიცება შეიძლება მოხდეს კონგრესის შეხედულებით ან ცალკე შტატების საკანონმდებლო პალატების $^3/_4$-ით ან ცალკებრივ შტატებში მოწვეულ დამფუძნებელ კონვენტების $^3/_4$-ით. ამ ჯგუფში შედის კოსტარიკა და ურუგვაი, რომელნიც ნაწილობრივ გადასინჯვას ანდობენ ჩვეულებრივ საკანონმდებლო ხელისუფლებას და საერთო გადასინჯვას კი განსაკუთრებულ დამფუძნებელ კონვენტს. ნაწილობრივ გადასინჯვისათვის კოსტა რიკაში საჭიროა ორი ერთნაირი ვო-

ტუმი, ურუგვაიში კი საკმარისია ერთი.

6. ეხლა გადავიდეთ იმ კონსტიტუციაზე, რომელნიც კონსტიტუციის გადასინჯვაში პირდაპირ მონაწილეობას ხალხს აძლევენ. აქ წარმომადგენლების საშუალებით არ მოქმედებენ. ამ მეექვსე ჯგუფს მიეკუთვნება ის კონსტიტუციები, რომელნიც ხალხისთვის ალიარებენ არა ინიციატივას, არამედ კონსტიტუციის ცვლილებათა დამტკიცებას. ინიციატივა ეკუთვნის ხან ჩვეულებრივ საკანონმდებლო ხელისუფლებას ცალკე, ხან განსაკუთრებულ დამფუძნებელ კონვენტებთან ერთად. ამათ ეკუთვნიან: არკანზასი, ტეხასი, ლუიზიანა, მისისიპი, რომლებშიც დამფუძნებელი ინიციატივა და გადასინჯვის ფორმულა ეკუთვნის მხოლოდ ერთ საკანონმდებლო პალატას; შემდეგ ინდიანა, ორეგონი, ნიუ-ჯერსეი, პენსილვანია, ვერმონტი, კონნექტიკუტი, როდ აილენდი, რომელთაც ეს უფლება აქვთ ერთიმეორეს მიმყოლ საკანონმდებლო—პალატებს (ესე იგი საჭიროა ახალი არჩევნები), და დაბოლოს, გეორგია და მენი, სადაც ინიციატივა და კონსტიტუციის გადასინჯვის ფორმულა ეკუთვნის ხან ჩვეულებრივ საკანონმდებლო ხელისუფლებას, ხან დამფუძნებელ კონვენტს, უიმისოთ, რომ ხალხს წინდაწინვე ეკითხებოდენ ასეთი კონვენციის მოწვევის აუცილებლობის შესახებ.

7. უფრო შორს მიდიან ის კონსტიტუციები, რომელნიც ხალხს აკუთვნებენ როგორც ინიციატივას, ისე კონსტიტუციის ცვლილებათა დამტკიცებას. მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა განვასხვავოთ შემდეგი ჯგუფები:

A. სახელმწიფონი, სადაც დამფუძნებელი ინიციატივა მდგომარეობს ხალხის დაკითხვაში იმის შესახებ, საჭიროა თუ არა კონსტიტუციის გადასინჯვა: ან 1) ეკუთვნის მარტოდ მარტო მხოლოდ ხალხს, ისე რომ სხვა რომელიმე სახელმწიფოებრივი ორგანო არ ერევა, თუმცა ხალხის დაკითხვის საკითხი შეიძლება აღძრულ იქნეს საკანონმდებლო ხელისუფლების, ან ამომრჩეველთა განსაზღვრულ რიცხვის მიერ. მათ ეკუთვნის: კენტუკკი, ფრეიბურგის კანტონები, ბაზელი—მხარე, ნევშატელი, ვაადტი, ქვემო უნტერვალდენი. ნიუ-გემპშირში, რომელიც სხვათა შორის ამათვე ეკუთვნის, ხალხს პერიოდულად დაჰკითხავენ, საჭიროა თუ არა კონსტიტუციის გადასინჯვა. ჩვეულებრივი საკანონმდებლო ხელისუფლება სრულებით მონაწილეობას არ ღებულობს კონსტიტუციის გადასინჯვაში. გადასინჯვა მიენდობა ხოლმე განსაკუთრებულ დამფუძნებელ კონვენტს. ამ საკითხში ეს შტატი შეერთებულ შტატებში ყველა შტატზე უფრო წინ წავიდა.

ან 2) ხალხის დაკითხვა მიდის გვერდით დამფუძნებელ ინიციატივასთან, რომელიც ხორციელდება საკანონმდებლო კურპუსის მიერ და რომელიც აუცილებელია:

ა) როგორც ნაწილობრივ, ისე საერთო გადასინჯვისათვის, ასეთია კანტონები ტურგაუ, ვალლისი;

ბ) საერთო გადასინჯვა ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ ხალხის დაკითხვას, — ლიუცერნში, აარგაუში, სან-გალენში, ბაზელ ქალაქში;

გ) კონსტიტუციის დამუშავება ეკუთვნის ხან საკანონმდებლო ხელისუფლებას, ხან დამფუძნებელ კონვენტს; ხალხის დაკითხვას კი ადგილი აქვს მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში. ამათ მიეკუთვნება: ფლორიდა, ნევადა, ვისკონსინი, ტენნესსი, კოლორადო, ილლინოისი, ალაბამა, ნებრასკა, ნიუ იორკი, ვირგინია, ლოვა, მიჩაგანი, ოგაიო და მერილენდი.

B. სახელმწიფონი, რომლებშიც ინიციატივა გამომდინარეობს ამომრჩეველთა ანუ მოქალაქეთა განსაზღვრულ რიცხვისგან (ეგრეთ წოდებული პლიურალური, მრავლობითი ინიციატივა). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი ინიციატივა იზღუდება მხოლოდ ნაწილობრივი გადასინჯვით. საერთო გადასინჯვის დროს საჭიროა ხალხის დაკითხვა. შემდეგ უნდა განვასხვავოთ:

ა) სახელმწიფონი, რომლებშიც პლიურალურ მრავლობით ინიციატივას ზედ ერთვის ხალხის დაკითხვა და სახელდობრ იმ შემთხვევებში, როდესაც საკანონმდებლო კორპუსი პლიურალურ ინიციატივას ეწინააღმდეგება. ამას ეკუთვნის შვეიცარიის საკავშირო კონსტიტუცია, შემდეგ ზოლოტურნი, ციურიხი, ჟენევა, გრაუბინდენი, ბერნი;

ბ) კონსტიტუციები, რომელთა მიხედვით პლიურალურ ინიციატივაზე არავითარი სახალხო დაკითხვით კონტროლი არ ხდება. ამაში შედის შვიცი, ზემო უნტერვალდენი, ტესსინი, ური, აპპენცელ აუსსერროდენი, შაფგაუზენი.

C. სახელმწიფონი, რომლებშიც დამფუძნებელი ინიციატივა შეიძლება გამომდინარეობდეს ცალკეებრივ მოქალაქესაგან, ეგრეთ წოდებული ინდივიდუალური ინიციატივა. ამას ეკუთვნის გლარუსი და აპპენცელ-ინნორროდენი.

განსაკუთრებულ ტიპს, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს ჩამოთვლილებთან, ეკუთვნის შტატი—დელავარი, სადაც ნაწილობრივი გადასინჯვა ეკუთვნის მხოლოდ ჩვეულებრივ საკანონმდებლო ხელისუფლებას. საერთო გადასინჯვა კი, საკანონმდებლო ხელისუფლების ინიციატივით ხდება დამფუძნებელი კონვენტის მიერ, რომლის ნაშრომსაც ხალხი ამტკიცებს.

სხვა და სხვა.

რედაქციამ მიიღო ახალი გამოცემანი: „კავროთოთავა“ გ. საგანელისა, „მასალები კოოპ. მოძრაობის საქართველოში“. წიგნები სუფთათაა გამოცემული.

◆ მევენახეთა კონგრესი გადაიდო შემოდგომისთვის; კონგრესის მოწვევის ვადა ცალკე იქნება გამოცხადებული.

◆ ტფ. ქალთა მე-6 ე გიმნაზიაში გამოცდები დაიწყება სექტემბრის 8-დან სწავლა კი 15-დან. თავისუფალი ადგილებია ყველა კლასებში. გაეროვნებულია პირველი ორი კლასი.

◆ ოზურგეთში, დღეს სამშაბათს, 26 მარიამობისთვეს იოსებ იმედაშვილი წაიკითხავს ორ ლექციას: „დემოკრატიული რეჟიმი“ და 2) „ქართველი მეომარი ძველად და ახლა“.

◆ სამოსწავლო წლიდან სტუდენტთა ერთი ჯგუფის თხოვნით ქართულ უნივერსიტეტში იხსნება მესამე კურსი აგრონომიულ განყოფილებისა. (ლექციების კითხვა ქართულ და რუსულ ენებზე) ჯგუფი მიმართავს სამეურნეო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ყველა სტუდენტებს, ისე ტფილისის პოლიტეხნიკუმის და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტებს დაუჭირონ მხარი მესამე კურსის გახსნას. რადგანაც პროფესორები მოწვეულნი არიან საჭიროა სათანადო მზადება ლაბორატორიების გასახსნელად, ამიტომ თხოვნები მიიღება 30 მარიამობისთვემდე სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სახელზე. ცნობების მიღება შეიძლება გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში.

◆ დუშეთში დაარსდა მოძრავი ჯარისკაცთა უნივერსიტეტი, სადაც ლექტორები დარიალში და სხვა სადარაჯოებზე იმგზავრებენ და წაიკითხავენ ხოლმე ლექციებს, ამისათვის შესდგა აქ კულტურულ განმანათლებელი კომიტეტი, რომლის წევრებია: ნ. ჩიმაკაძე, ალექსიშვილი და ნ. წივწივაძე.

◆ ტფილისის ქალთა მე 8-ე (საეპარქიო) გიმნაზიაში მისაღები და განმეორებითი გამოცდები დაიწყება ენკენისთვის 10-დან სწავლა კი 15 დან. არის თავისუფალი ადგილები ყველა კლასებშია.

◆ სამხედრო სამინისტროს კულტურულ განმანათლებელი სექცია აწყობს დარიალის ხეობაში მდგომ ჯარისათვის მოძრავ ბიბლიოთეკა სამკითხველოს.

◆ სექტემბრის პირველ რიცხვებიდან სასურსათო განყოფილება დაარიგებს ახალ სასურსათო ბარათებს. ბარათების მიღება შეიძლება ყველა საუბნო კომიტეტებში.

დაახლოებით 10 სექტემბერს სასურსათო განყოფილება პირველ რიგში დაიწყებს შაქრის ფხვნილის დარიგებას ბავშთათვის 8 წლამდე 2 გირ. სულზე.

განცხადებანი

კონსტანტინე ჯანდიერი ამით აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი ტფილისის ქართულ გიმნაზიის 8 კლასის გათავებისა № 12201 და მეტრიკული მოწმობა მიღებული ქართ. სინოდ. კანტორისაგან № 228 ჩაითვალოს გაუქმებულად. 1184 3—2

მიხეილ სიმონის ძე შენგელია ამით აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ს. ჭოლის (ზუგ. მაზ.) კანცელარიიდან, და ჯარისკაცობიდან განთავისუფლების მოწმობა. დაკარგული საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1171 3—2

იოსებ ქრისტიფორეს ძე ჩაგმაველი აცხადებს, რომ მან. დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ტფილ. სამხედრო უფროსისაგან № 12148, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.
1172 3—2

დაკარგულია ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული ტფილისის საოლქო სასამართლოს უფროსს ნოტარიუსის მიერ 1881 წ. 2 აპრილს 422 რეესტრით უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ. ტფილისში ღვინის აღმართზე, რომელიც ეკუთვნის გევორქე ინაზარ კარაპეტის ძე კაზაროვებს. სიგელი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1198 3—2

სიღნაღის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულების სიღნაღის მოქალაქეების ბარბარე მოსეს ასულის და გასპარა მიკირტიჩას ძის ტერ-სტეფანოვების მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ტერ-სტეფანოვის ქონებაზე სამოქალაქო კანონის კრებულის მეათე ტომის პირველი ნაწილის 1239 და 1241 მუხლის აღნიშნულ ვადაში. 1490 1—1

ვახტანგ დიმიტრის ძე ერისთავი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი მიღებული ტფილისის რეალურ სასწავლებლის კანცელარიიდან, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1197 1—1

თელავის სამაზრო ერობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ სოფ. აკურაში მცხოვრებს იაგორ ბუტულიშვილს დაუკარგავს კვიტანცია პირველი მობილიზაციით ცხენის წაყვანის № 188, მიცემული თელავის სამაზრო კომისარიატიდან, რაც გაუქმებულათ ჩაითვალოს 1494 1—1

იოანე ლუკას ძე მეგრელიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული მილიციის სამმართველოდან № 132, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1191 2—2

მე-4 უბნის მომრიგებელი მოსამართლე ქ. ტფილისის ამით იწვევს მემკვიდრეებს განსვენებულ ნატალია ოვანეს ასულის ვართანოვის ქონებასა. 1190 1—1

ვლადიმერ კონსტანტინეს ძე კლევიტოკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა № 166 მიღებული ტფილისის პოლიტეხნიკუმიდან, რაც გაუქმებულათ ჩაითვალოს 1211 1—1

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში მარია დავით თარხან მოურავის ასულმა სასინოვსკისამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი ბორის ალექსანდრეს ძე სასინოვსკი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1916 წელს უკვალოდ დაიკარგა 1917 წელს, რის გამო აღნიშნული მარიამ დავით თარხან-მოურავის ასული სასინოვსკისა თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც კი იცის დაკარგულ ბორის ალექსანდრეს ძის სასინოვსკის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემო ხსენებულ პირის შესახებ, საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა 2 თვის განმავლობაში. 1209 1—1

პორ. ოქროპირ ბატონიას ძე ჯანჯღავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა რევოლვერის (ბრაუნინგის სისტემის) ტარების ნებართვა, № 509, პირადობის მოწმობა № 508, მიცემული საგუბერნიო ბათალიონის უფროსისაგან. საბუთები გაბათილებულათ უნდა ჩაითვალოს.
1173 3—1

ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველო თანახმად ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ფურცხვანიძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს პასპორტი, სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა და ექვსი თუმანი ფული, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთები წარმოადგინოს მილიციის სამმართველოში, გადასაცემად კუთვნილებისამებრ. 1154 3—2

ვასილ გაბრიელის ძე ლარიბაშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი, მიღებული კავკავის ქალაქის [illegible] 1919 წ. მაისის 17. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალო. 1189 3—2

სამეგრელოს სამომრიგებლო ოლქის, ჩხოროწყუს უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულის მცხოვრების სოფელ ახუთის, ზუგდიდის მაზრაში, საქსონი ზოსიმეს ძე ნაროუშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ნაროუშვილის ქონებაზე მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში
1470 1—1

ვარდან არუნის ძე აივაზაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა თუთუნით ვაჭრობის მოწმობა მიღებული ტფილის-ქალაქის გამგეობიდან. 16 აგვისტოს 1919 წ, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს 1205 1—1

დაკარგულია რკინის გზის „ნაკლადნაია“ № 10.774, რომელიც გაუქმებულათ ითვლება. ი. ა. ფერიმანი. 1148 3—3

იასონ. ალ. მეტრეველი აცხადებს რომ მან დაჰკარგა შემდეგი საბუთები: 1) იარაღის შენახვისა და ტარების მოწმობა, (№ 71, 1920 წ. 1 იანვრამდე, ფრანგული სისტემის „ნაგანა“ რევოლვერის № 64,834 და ვინტოვკის № 731); 2) პიროვნების მოწმობა, ივნისში აღებული. ფოსტის კვიტანცია, ჟურნალ პროლეტარის სახელზე ფულის მისაღები № 137. დამფუძნებელ კრების სხდომებზე დასასწრები „პროლეტარის“ რედაქციისგან თანამშრომლობის მოწმობა; ამავე რედაქციისგან რწმუნებულობის მოწმობა და სხვა... საბუთები გაუქმებულათ ითვლება. 1137 3—3

ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო სთხოვს იმ პირთ, რომლებმაც იციან სად იმყოფება მარიამ თეოდორის ასული სასედკინა, რომელიც ამა წლის თებერვლიდან უცნობოთ დაიკარგა. მისამართი: ტფილისი ამიერ კავკასიის რუსის საბჭოს მოსტოვაია, 2.
1143 3—2

სოხუმის ოლქის აქციზის ინსპექტორი ამით აცხადებს, რომ ძმათა ელეფთერ და ედმონდ იამანდოპულოებმა დაკარგეს 13 თებერვალს 1919 წ. № 376 მიღებული ფოთოლ თამბაქოს გადასატანი მოწმობა და ხაზინის 28,000 მ. კვიტანცია 22 ოქტომბრიდან 1918 წ. № 4551—ფოთოლ თამბაქოს საფუთო გადასახადისა. აღნიშნული საბუთები გაუქმებულათ ითვლება. 1445 3—2

ტიგრან გერასიმეს ძე ტერ აკოპოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ქ. მოსკოვის მე 2 უბნიდან 1916 თებერვლის 16-ს, № 554. 1192 3—2

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო მეურნეობის და სახელმწიფო მამულების განყოფილება

ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, აგვისტოს 29, ნაშუადღევის 12 საათზე, განყოფილების სადგომში (პეტრე დიდის ქუჩა, № 22, მეორე სართული) მიწათ-მოქმედების მინისტრის ნებართვით, დანიშნულია მეორეთ განმეორებითი საჯარო ვაჭრობა გიაურ-არხის სახელმწიფო მამულთა ბაღ-ვენახების (გიაურ-არხის ყოფილ საუფლისწულო ვენახისა და სოფელ ლეჩბანდილოს არამიანცისეულ ბაღების) მოსავალზე, საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ უნდა შემოიტანონ განყოფილების სახელზე წერილობითი განცხადება 2 მან. საღერბო გადასახადით და აგრეთვე ბეთ იმ თანხის 30%, რომლითაც საჯარო ვაჭრობა დაიწყება. კონდიციების გაცნობა შეიძლება განყოფილებაში ყოველ სამუშაო დღეს დილის 8 საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდე. 1502 1—1

ტფილისის სამიწათმზომელო სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ მისაღები გამოცდა პირველ გაეროვნებულ კლასში დაიწყება 8 სექტემბერს დილის 9½ საათზე შემომსვლელთათვის საჭიროა იცოდენ ქართული ენა (კითხვა და თავისი აზრის წერილობით გამოთქმა). გამოცდა არითმეტიკაში, გეომეტრიაში, ფიზიკაში, გეოგრაფიაში და ბუნების მეტყველებაში ქართულ ენაზე მოხდება 1872 წლის დებულებით არსებულს საქალაქო სასწავლებლისა არა უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლის კურსის ფარგალში. თხოვნის მიცემა და საჭირო ცნობების მიღება ყოველ დღე შეიძლება სასწავლებლის კანცელარიაში დილის 10 საათიდან შუადღის 2 საათამდე.
(გუნიბის ქუჩა № 46 1511 1—1

მოითხოვეთ და იხმარეთ შეშის მაგიერ ქვა-ნახშირი

ქვა-ნახშირს ორჯელ მეტი სითბო აქვს ვინემ საუკეთესო შეშას, იაფათ ჯდება, იწვება ყოველგვარ ქვემო საბერვიან გერმეტიულ ფეჩებში და სამზარეულო პლიტებში. საგრძნობელ ეკონომიას წარმოადგენს კერძო ოჯახებისათვის, ხოლო განსაკუთრებულს სასწავლებლებისათვის, სასტუმროებისათვის, რესტორანებისათვის და სხვა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებებისათვის. აგრეთვე გვაქვს სამჭედლოებისათვის **საგანგებოთ დამზადებული ნახშირი და დიდძალი კირი**, საუკეთესო ხარისხის და ხელმისაწვდომ ფასებში. საწყობები გვაქვს ბათუმში, ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, გორში, ტფილისში, ერევანში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. დაკვეთა შეიძლება დიდ პარტიობით და წვრილ წვრილადაც. ყოველგვარ ცნობების და შეკითხვის მისამართი: ტფილისში, გრიბოედოვის ქ. № 6. ტელ. № 11—45. საწყობი ქვა ნახშირისა: დიდუბე, ფოთის ქუჩა, ქალაქის შეშის საწყობის ეზოში
15—6 1140 ტყიბულის ქვანახშირის გამსაღებელი **მთავარი სააგენტო**.

საქართველოს მთავრობის სტამბა

დროებითი რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე